

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №

2022 წლის „ დეკემბერი, ქალაქი ბათუმი

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზოგადოებრივი სივრცის გარე ვაჭრობისათვის, ასევე რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე სივრცის მაგიდის და სხვა ნივთის (მათ შორის I კლასის ობიექტის) განლაგებისათვის, რომელზეც მომსახურების გაწევა ხდება არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან, საზოგადოებრივი სივრცე(ები) პირდაპირი განკარგვის წესით გასცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, არაუმეტეს 2024 წლის 31 დეკემბრის ვადით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.“.

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 მაისიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## განმარტებითი ბარათი

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის № -1515211174 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემა ხდებოდა შეზღუდული ვადებით (1,2,3 ან 6 თვე), მაშინ როდესაც „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილება ითვალისწინებს ორ წლამდე ვადით გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო ხელახალი ნებართვის ან/და ნებართვის გაგრძელების პროცესში (დაინტერესებული პირის მიზეზით) ჩნდებოდა რამდენიმე თვიანი ან ხანგრძლივი წყვეტილობა, რის შედეგადაც იზრდებოდა არაორგანიზებული მოვაჭრე ობიექტების ოდენობა და ზარალდებოდა ქალაქის იერსახე, შესაბამისად მცირდებოდა შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში.

აქედან გამომდინარე მიზანშეწოლად იქნა მიჩნეული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსება და მომსახურეობის გაწევის ვადა გაგრძელდეს, არაუმეტეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად წარიმართოს მუშაობა.

არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით ასევე შეტანილი უნდა იქნეს ცვლილებები საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის საფასურის გრაფაში, რომელიც მეტ სიცხადესა და გარკვეულობას შეიტანს სავაჭრო ნივთების სახეობათა მიხედვით განთავსებაში. ( დანართი თან ერთვის).

#### ა.ა) პროექტის მიზეზი და მიზანი:

არსებულ რეგულაციებში ცვლილებების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში (ტროტუარი და სხვა) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის წესის დარეგულირებას და მოწესრიგებას, მეწარმეობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

#### ა.ბ.) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის დარეგულირება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

#### ბ) პროექტის ფინანსური მხარე:

არსებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების ზრდას.

**გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის

სამსახურის უფროსის მ/შ

დავით კოპინაძე